პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 285 (13669) | პარასკევი, 16 დეკემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

ოქტომბრის დროშით ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

ძალღონით ალსავსე, ძლეგამოსილი შეეგება ჩვენი სამშობლო დიდი ოქტომბრის ორმოცდამეათე წლისთავს. დირსშესანიშნავი თარიღი, რომელიც აგვირგვინებს სსრ კავშირის ორმოცდაათი წლის ისტორიას, განსაკუთრებულ ალერადობას ანიჭებს საბჭოთა ადამიანების დღევანდელ საქმეებსა და გეგმებს.

ახლა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, რომ უბადრუკი და უძალური ქვეყანა გადაქცა ოქტომბრით შობილ მძლავრ სოციალისტურ მრავალეროვან სახელმწიფოდ. ასე განვითარება ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა. იგი ამბობდა: „ჩვენ გვაქვს მასალა ბუნებრივი სიმდიდრისაც, ადამიანურ ძალთა მარაგისაც, საუცხოო გაქანებისაც, რომელიც ხალხის შემოქმედებას მისცა დიდმა რევოლუციამ, — რომ შეექმნათ მართლაც ძლიერი და უხვი რუსეთი“.

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი, რომლებიც ახორციელებენ ლენინის ანდერძს, განუხრელად განამტკიცებენ საბჭოთა ქვეყნის ძლიერებას. ახალ მიღწევათა გზა განსაზღვრა XXIII ყრილობამ. ჩვენი ქვეყანა წარმატებით ამთავრებს ხუთწლედის პირველ წელს.

განვლილ წელს გაწეული მუშაობის შედეგებს, საიუბილეო, 1967 წელს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებს იხილავს სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, რომელიც 15 დეკემბერს დილით გაიხსნა კრემლის დიდი სასახლის დარბაზში.

ეროვნებათა საბჭოში

დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის **ი. ი. პალეტციხის** თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

სხდომას დაესწრნენ ამხანაგები ა. ი. **პელშე**, ა. ნ. **შელეპინი**, **პ. მ. მაშეროვი**, **ვ. პ. მუკანანაძე**, **შ. რ. რაშიდოვი**, **ბ. ნ. პოლომარიოვი**.

თავმჯდომარის წინადადებით სესიის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის ი. ა. ლავრენოვის ხსოვნას, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში გარდაცვალა.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის დამტკიცებას. ერთსულოვნად მიიღეს შემდეგი დღის წესრიგი:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმა.
2. სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

გადაწყდა, რომ მოხსენებებს სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის, აგრეთვე 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოახმარენ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომაზე. პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე მოისმენენ თანამოსაუბრეების გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე განიხილავენ დღის წესრიგის საკითხებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატი **ნ. ა. შჩელოკოვი** დაინიშნა სსზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად და როგორც მინისტრი შეედგა საბჭოთა კავშირის მთავრობის შემადგენლობაში, სესიამ მიიღო გადაწყვეტილება გაათავისუფლოს იგი ეროვნებათა საბჭოს ვეტერობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ვეტერობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამ კომისიის წევრი დეპუტატი ა. ა. სმირნოვი (ოშმიანის საარჩევნო ოლქი).

კავშირის საბჭოში

დილის 11 საათზე კავშირის საბჭოს თავმჯდომარის **ი. ვ. სპირიდონოვის** თავმჯდომარეობით კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სხდომა.

სხდომას დაესწრნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი**, **ვ. ი. ვორონოვი**, **ა. პ. კირილენკო**, **კ. ტ. მაზუროვი**, **ნ. ვ. პოდგორნი**, **მ. ა. სუსლოვი**, **ა. ნ. შელეპინი**, **პ. ე. შელესტი**, **ვ. ვ. გრიშინი**, **პ. ნ. დემიჩევი**, **დ. ა. კუნაევი**, **ვ. ვ. შჩერბიცკი**, **ი. ვ. ანდროპოვი**, **ი. ვ. კაპიტონოვი**, **თ. დ. კულაკოვი**, **მ. ს. სოლომენცევი**.

ი. ვ. სპირიდონოვის წინადადებით დეპუტატებმა და სტუმრებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების ნ. ვ. იგნატოვის, ა. პ. რუდაკოვის, ვ. ვ. კომიახოვის, ე. პ. ბრაჭკენეს, ვ. ი. იანსონის ხსოვნას.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის შემდეგ გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები მოეწყო სამ საარჩევნო ოლქში. სამანდატო კომისიამ შეამოწმა არჩეული დეპუტატების რწმუნებანი.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა პალატის სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ **ნ. ნ. როდიონოვმა.** კავშირის საბჭოს დეპუტატებმა მიიღეს დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო. ამ დადგენილებაში მათ ცნეს იმ დეპუტატთა რწმუნებანი, რომლებიც არჩეულნი არიან 1966 წლის 11 დეკემბერს: **ვ. ფ. მოზგოვისა**, რომელიც არჩეულია გორლოგოვის № 449 საარჩევნო ოლქში; **ბ. ა. მორკუნასისა**, რომელიც არჩეულია შიაულიის № 715 საარჩევნო ოლქში; **ლ. ი. ავდიუკევიჩისა**, რომელიც არჩეულია ცესის № 733 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭომ ერთხმად მიიღო სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

ეროვნებათა საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

დღის 12 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს**, **ვ. ი. ვორონოვს**, **ა. პ. კირილენკოს**, **ა. ნ. კოსიგინს**, **კ. ტ. მაზუროვს**, **ა. ი. პელშეს**, **ნ. ვ. პოდგორნის**, **მ. ა. სუსლოვს**, **ა. ნ. შელეპინს**, **პ. ე. შელესტს**, **ვ. ვ. გრიშინს**, **პ. ნ. დემიჩევს**, **დ. ა. კუნაევს**, **პ. მ. მაზეროვს**, **ვ. პ. მუკანანაძეს**, **შ. რ. რაშიდოვს**, **ვ. ვ. შჩერბიცკის**, **ი. ვ. ანდროპოვს**, **ი. ვ. კაპიტონოვს**, **თ. დ. კულაკოვს**, **ბ. ნ. პოლომარიოვს**, **მ. ს. სოლომენცევს**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, სსრ კავშირის მთავრობის წევრებს, რომლებიც ლოჟებში შემოვიდნენ.

სესიას დაესწრნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. ბალკონზე იყო ბევრი სტუმარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **ი. ი. პალეტციხმა**, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, სიტყვა მოახსენებისათვის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ **ნ. კ. ბაიბაკოვს**.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ **ნ. კ. ბაიბაკოვის** მოხსენების შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს დეპუტატ **ვ. თ. გარბუზოვს.** მან გააკეთა მოხსენება სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ამით დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

მოსკოვი, 15 დეკემბერი. (საკადესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საღამოს სხდომაზე საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ჰ. ა. როზენკოს** თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენებების გამო.

დეპუტატები განიხილავდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. კ. ბაიბაკოვისა და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის, დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებებს.

კამათში გამოვდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ვ. შჩერბიცკი**, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საკალაჭო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. თ. პრომისლოვი**, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ს. კოლებაევი**, ბელორუსის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ი. კისელიოვი**, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი **გ. ვ. რომანოვი** და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **რ. ყურბანოვი.**

16 დეკემბერს სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მუშაობას განაგრძობს.

* * *

შუბალთზე: სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის პრეზიდიუმი.

საკადესის ფოტოქრონიკა

(მიღებულია საკადესის ფოტოტელეგრაფით).

ჩვენი პარტიის ლენინური კურსი

1966 წლის 12-13 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — „სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“ — მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. საქმიანობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით განიხილა პლენუმმა ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკვანძო საკითხები. პლენუმი ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯისეული იყო პარტიის საქმიანობის ლენინური სტილისა და მეთოდების დამკვიდრებასა და განვითარებაში, რომლებისგან მობრუნებას წარმოადგენდა ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმი.

უკვე პირველი გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო მოწმობს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პლენუმის მიერ განსაზღვრულ ღონისძიებებს სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის დარგში სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდგომი განხორციელებისათვის.

საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემები სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ჩვენი პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს სოციალიზმის, ეროვნული განთავისუფლების, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების მწვავე ბრძოლა იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ჩვენი პარტიისაგან მოითხოვს შეეფასებინა ვითარების ღრმა მეცნიერულ ანალიზს და აქტიურ მოქმედებას ყველა მიმართულებით.

თავის დროზე ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკას მუდამ იცხოვროს მშვიდობით ყველა ხალხთან და მთელი თავისი ძალები მოახმაროს ხაშინაო მშენებლობას“. ჩვენი პარტია ერთგულია დიდი ლენინის ანდერძისა, მისი საერთაშორისო საქმიანობის მიზანია გადაჭრას საგარეოპოლიტიკური ამოცანა, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ განსაზღვრა, — ახალი საზოგადოების შენებლობის ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის ამოცანა.

ჩვენ არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ სხვა გარემოებაც. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება და მსოფლიოს ყველა რაიონში მოგვლენების ბალანსზე მისი გავლენის დონე გადამწყვეტლად იზრდება. საქმე ეხება იმას, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად და ყოველმხრივ გამოვიყენოთ ჩვენი მზარდი შესაძლებლობანი საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების, ეროვნული განთავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ინტერესებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დადგინა:

„მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას ცენტრალური კომიტეტის პლენიუმის ოქტომბრიული ანგარიში ხაზი და საქმიანობა, რომელიც გამართულია საერთაშორისო კოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური ძრაობის დარგში პარტიის XXIII ყრილობის მიერ შემუშავებული კურსის განხორციელებისაკენ“.

უკანასკნელი პერიოდში, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმის შემდეგ, ნაყოფიერი იყო დიდი დადებითი შედეგები სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან ერთი თანამშრომლობის განმტკიცებისა ყოველმხრივი მეგობრობის განვითარების საქმეში. ჩვენი ურთიერთობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, მათს კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან სულ უფრო მეჯიდრო და გულითადი ხდება, ალ უფრო ფართო ხდება სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაცია საერთაშორისო ასპარეზზე. ფართოვდება გაგებიდების გაზრდილება. ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა. ამაში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნებისა და ვარიას ხელშეკრულების ქვეყნების მთავრობათა მეთაურების, ვარშავისა და ბუქარესტის თათბირების დოკუმენტებს.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე ვითარებაში უფრო მეტად, ადრე ოდესმე, საჭიროა განმტკიცდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შეკავრება და ძლიერება, ამასთან გათვალისწინებულ იქნას, რომ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირება უმნიშვნელოვანესი პირობაა წარმატებითი ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენი საერთო ფოლუციური საქმის გამარჯვებისათვის. საქმე ეხება იმას, რომ კვლავაც ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ სოციალიზმის ქვეყნების თანამშრომლობა როგორც პოლიტიკური ხაზით, ისე ეკონომიური ხაზითაც. ასეთი თანამშრომლობის საფუძველია სოციალისტური ქვეყნების ეროვნული ინტერესებისა და მთლიანად სოციალისტური თანამეგობრობის ინტერნაციონალური ინტერესების ყოველმხრივ გათვალისწინება. თვითეული სოციალისტური სახელმწიფოს აყვავებას კვლავაც თან უნდა ახლდეს მთელი მსოფლიო სოციალიზმის ძლიერების ზრდა, აყვავება.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხი იყო და არის თანამშრომლობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ახალგაზრდა, განთავისუფლებულ ქვეყნებთან სულ უფრო მტკიცე და აქტიური ხდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის კონტაქტებისა და კავშირის განვითარებას იმ ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებთან, რომლებმაც განვითარების არაკაპიტალისტური გზა აირჩიეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკმაოა კვლავაც დავუჭიროთ მხარი ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური ჩაგვრისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, განუხრელად განვახორციელოთ ეროვნული განთავისუფლების ძალებთან კავშირის განმტკიცების კურსი. ამ ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება იმის დიდმნიშვნელოვანი საწინდარია, რომ მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლების საქმე ახალ მძლავრ ტალიოლეებს მიიღებს, ეს კი ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურმა კურსმა სავსებით დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, უზრუნველყო სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დიდი მიღწევები. გაკამტვერებულია ბოროტი მითი „საბჭოთა კომუნიზმის აგრესიულობის“ შესახებ, სეროზული ლაბორატორიებიდან ჩაეცა რეაქციული იმპერიალისტური ერგულ გეგმებს. ამ წარმატებებმა დიდად შეუწყო ხელი მსოფლიო რევოლუციურ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ПРАВДА
15 ДЕКАБРЯ 1966 ГОДА

პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის თანმიმდევრული განხორციელების მეოხებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პოზიციების შემდგომ განმტკიცებას. საბჭოთა კავშირს დიდი წვლილი შეაქვს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვის საქმეში, თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მშრომელთა მასების ბრძოლის საქმეში“.

ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის წარმატებათა საფუძველი უწინარეს ყოვლისა არის პარტიის მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური რეალისტური მიდგომა საერთაშორისო ცხოვრების ყველა მოვლენისადმი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხაზის პრინციპული სიმტკიცე და ამასთან ერთად მოქნილობა შესაძლებლობას აძლევს ჩვენს პოლიტიკას გათვალისწინოს საერთაშორისო განვითარების ყველა ახალი მოვლენა, სწრაფად და უნარიანად გამოეხმაუროს მოთხოვნებს, რომელსაც ცხოვრება აყენებს.

ამჟამად მშვიდობის ძალები განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლას ეწევიან იმპერიალიზმის, პირველ რიგში ამერიკის იმპერიალიზმის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული წრეების აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის დადგენილებაში ჩაწერა: „საჭიროა კვლავაც მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალიზმის ომის მოტორფიალი ძალებს და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისა და სამხედრო კონფლიქტების გაჩაღების მათს პოლიტიკას“. ეს საბჭოთა კავშირის უარყოფა და მტკიცე პოზიციაა.

სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების ძალების ყველაზე მწვავე შეჯახება იმპერიალიზმის ძალებთან ახლა ვიეტნამში ხდება. უკანასკნელი ცნობები მოწმობენ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის ესკალაციის ახალ ეტაპს, ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ჰანოის ბომბარდირებულ დაბომბვებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოლიანად დაადასტურა ჩვენი პრინციპული პოზიციები ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში. საბჭოთა ხალხი ვიეტნამის ხალხის მხარეზეა. საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც გაუწევს ყოველმხრივ დახმარებას ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ. ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა ემთხვევა მთელი პროგრესული კაცობრობის ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებს.

ამ ვითარებაში განსაკუთრებით საძრახისად გამოიყურება ჩინეთის კომპარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პოზიცია და მოქმედება, რომელნიც ფუშავენ მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანი ფრონტის შექმნას ამერიკის აგრესიის მოსაგერიებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საგანგებო მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის კომპარტიას შორის, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დარგში. ჩინეთში ამ ბოლო დროს მომხდარი ამბები, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებანი მოწმობენ, რომ მაო-ძე-დუნისა და მისი ჯგუფის დიდმპყრობელური, ანტისაბჭოთა პოლიტიკა ახალ, საშიშ ფაზაში შევიდა. კურსს, რომელსაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელები ატარებენ საერთაშორისო ასპარეზზე; მათს პოლიტიკას სოციალისტური ქვეყნების მიმართ; მტრულ კამპანიას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ და გამოთიშველ მოქმედებას საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში — ყოველივე ამას საერთო არა აქვს რა მარქსიზმ-ლენინიზმთან. ასეთი პოლიტიკა, ასეთი მოქმედება ზიანს აყენებს სოციალიზმის, საერთაშორისო მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს, თვით ჩინელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვრებს და ობიექტურად იმპერიალიზმს ეხმარება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადასტურა, რომ ურყევია ჩინეთის კომპარტიასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის კურსი, რომელსაც ჩვენი პარტია ადგას. ამასთანავე პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია გადაჭრით აშოლოთოს ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის ანტილენინური შეხედულებანი და დიდმპყრობელური, ნაციონალისტური კურსი, გაანალიზოს ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად, მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების მიერ შეშუშავებული გენერალური ხაზის დასაცავად. ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავენ მსოფლიო თერმოკატომური ომის თავიდან აცილების, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს.

თანამედროვე ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე. მსოფლიოში ახლა თითქმის 90 კომუნისტური პარტიაა, რომლებიც თავიანთ რიგებში ათეულობენენ დაახლოებით 50 მილიონ მებრძოლს. ისინი თავდადებით იბრძვიან ყველა კონტინენტზე. ეს ისეთი უდიდესი ძალაა, რომელსაც, თუ შეკავშირებულად იმოქმედებს, შეუძლია სულ უფრო მეტი გავლენა მოახდინოს მსოფლიო ამბების მსვლელობაზე მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესების სასარგებლოდ.

მთელი მსოფლიოს კომუნისტთა რიგების შემდგომი შეკავშირება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა როგორც იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა თავისუფლებისათვის დღეგანდელი ბრძოლის თვალსაზრისით, ისე მუშათა კლასის ისტორიული მიზნებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის თვალსაზრისითაც. კომუნისტური რიგების შეკავშირების განმტკიცებას ჩვენი პარტია მუდამ აქცევდა და კვლავაც მიაქცევს უაღრესად დიდ ყურადღებას.

ამ საქმეში ჩვენს პარტიას საჭიროდ მიაჩნია გამოიყენოს ყველა ფორმა და მეთოდი, რომელიც გამომდინარეობენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზიდან. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ მზად არის კვლავაც განავითაროს კონტაქტები მომავ პარტიებს შორის როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე.

კომუნისტური მოძრაობა თავისი არსით ღრმად ინტერნაციონალურია. იგი წარმოიშვა უკვდავი დევიზით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ამერიკის იმპერიალიზმმა ახალი მძიმე დანაშაული ჩაიდინა. დამშეილ იქნა სუფერენული სოციალისტური სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ჰანოი. 13 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა დაბომბეს ჰანოის საახოვრებელი უბნები წითელი მდინარის გასწვრივ. 14 დეკემბერს ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს ვიეტნამის დედაქალაქის მჭიდროდ დასახლებული რაიონები. დაინგრა საცხოვრებელი სახლები, მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დახოცილნი და დაჭრილნი.

ამერიკის სამხედრო ხროვა აჩაღებს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიული ომის ხანძარს და ამ ბოლო დროს თავს უყრის ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდებს ჩრდილოეთ ვიეტნამის სანაპიროსთან, ამერიკელ ზღვის მეკობრეებს უფლება მიეცათ თავს ესხმოდნენ გემებს და ცეცხლს უშენდნენ ობიექტებს, რომლებიც განლაგებულია ჩრდილოეთ ვიეტნამის სანაპიროზე.

ეს ახალი ბოროტმოქმედება იწვევს საერთაშორისო ვითარების სულ უფრო სერიოზულ გამწვავებას.

ამერიკის ჯარები ვიეტნამში მიჯიდნენ რიგორც დამპყრობნი, როგორც ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჩაშლობანი. ამერიკის შეერთებული შტატების ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის ყველაზე ცინიკური გამოვლინება, საერთაშორისო სამართლის, ადამიანური მორალის საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და ჰუმანურობის გათელვაა. ამ ბოროტმოქმედებას მოაყვება უმძიმესი საერთაშორისო პასუხისმგებლობა. ყველა პატიოსანი ადამიანი გმობს ამ ბოროტმოქმედებას.

იმათ, ვინც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას განსაზღვრავს, გინეიერება რომ გამოეჩინათ, უკვე უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ამერიკის სამხედრო ხროვა ვერაფერით ვერ გატეხს მამაცი ვიეტნამელი ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და სახელოვანი შეიარაღებული ძალები აღდგნენ სამშობლოს დასაცავად და ჯეროვან პასუხს აძლევენ ამერიკის ავიაციის თავდასხმებს. გამანადგურებელ დარტყმებს აგებენენ ინტერვენტებს სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები.

ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას მძლავრ მხარდაჭერას უწევს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ვინც იბრძვის ხამართლიანობისათვის. ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ აგრესიულ აქტებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. თავისი ინტერნაციონალური მთავლეობის ერთგული საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად უჭერს მხარს მომმე სოციალისტურ სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. იგი უწევდა და კვლავაც გაუწევს ყოველმხრივ დახმარებას ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელსაც საქმე მიჰყავს ვიეტნამში ომის შემდგომი გაფართოებისაკენ, არ უნდა დაივიწყოს გაფრთხილება, რომელიც გამოთქვეს სოციალისტურმა სახელმწიფოებმა ბუქარესტის თათბირზე მიმდინარე წლის იგნისის დამდეგს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ აგრესია. მხოლოდ ვიეტნამელ ხალხს აქვს უფლება გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც ვიეტნამს ეხება.

შრომითი ნობათები

△ **საქართველოს** კ ვ ა ნ ი ს რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ყიფიანმა**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ო. გიორგაძემ**, სოფლის მეურნეობის სამმაჩალელის უფროსმა **გ. მალლაკელიძემ** რეკომენდაციას აცნობეს: რაიონის მშრომელებმა პირობა გაანადგურეს. სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, თქვა ნ. კ. ბაიბაკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი. ახალი სახალხო-სამეურნეო გეგმა ხუთწლედის მეორე წლის გეგმაა. ამ გეგმაში აისახა წარმატებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რომლებიც 1966 წელს მოვიპოვეთ სკკპ XXIII კრებების გადწყვეტილებათა განხორციელების შედეგად.

1966 წლის — ხუთწლედის პირველი წლის გეგმა სრულდება იმ სულ უფრო მზარდი დადებითი ზეგავლენის ნიშნით, რომელსაც საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაზე ახდენს სამეურნეო-პოლიტიკურ ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც ამ ბოლო ორ წელიწადში შეიმუშავა კომუნისტურმა პარტიამ. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ კმაყოფილი იყვნენ ხუთწლედის პირველი წლის შედეგებით. ყველა რესპუბლიკა და სამინისტრო, სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს გარდა, წარმატებით ასრულებს სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებებს, მიმდინარე წლის შედეგები ცხადყოფენ, რომ სახალხო მეურნეობის განვითარება მთლიანად მიმდინარეობს პარტიის XXIII კრებების დირექტივების შესაბამისად.

წარმატებთან ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რის შედეგად ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი გადააჭარბებს დადგენილ დავალებას და შეადგენს დაახლოებით 7,4 პროცენტს 1965 წელთან შედარებით. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაზრდება დაახლოებით 8,4 პროცენტით, მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებულია 6,7 პროცენტი. გეგმის გადამეტებით ვაწარმოებთ 5 მილიარდი მანეთისაზე მეტ სამრეწველო პროდუქციას.

სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების დავალებანი მრეწველობაში. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1966 წელს 5 პროცენტით გაიზრდება, ხოლო თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომია შეადგენს დაახლოებით 1,5 მილიარდ მანეთს.

მიმდინარე წელს დაიწყო მრეწველობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა, სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვა. ახალ სისტემაზე გადაყვანილი 673 საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დადებითი შედეგები ადასტურებენ, რომ სწორია ხალკის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებანი.

წელს დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მათ მოიწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით მარცვლისა და ბამბის უხვი მოსავალი, გაადიდეს მეცხოველეობის პროდუქციულობა, სახელმწიფოს მიჰყიდეს მეტი მარცვალი, ხორცი, კვერცხი და ბამბა, ვიდრე წინა წლებში. 1966 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია დაახლოებით 10 პროცენტით გაიზრდება. ეს შედეგები დადასტურება არა მარტო ხელშემწყობი ამინდის პირობებისა, არამედ აგრეთვე იმ ეკონომიურ ღონისძიებათა ეფექტიანობისა, რომლებიც ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მარტო შესასყიდი ფასების გადიდების, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შეცვლის, სათადარიგო ნაწილების, ტექნიკის ფასების დაკლების, აგრეთვე სხვა ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, 1966 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიანმა მხარგებმა შეადგინა დაახლოებით 6,5 მილიარდი მანეთი.

ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ტრანსპორტის მუშაკები. სრულდება ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ზრდის დავალებანი.

1966 წელს კიდევ უფრო ამაღლდა ხალხის ცხოვრების დონე, ერთ წელიწადში მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი გაიზრდება 3 პროცენტით. კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდისა და მიმდინარე წელს შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღების შედეგად კოლმეურნეთა შემოსავალი სახოგადოებრივი მეურნეობიდან დაახლოებით 14 პროცენტით გაიზრდება.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით. კიდევ უფრო განვითარდა საბინაო მშენებლობა.

ერთ წელიწადში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები 3 მილიარდი მანეთით და მეტად გაიზარდა და 45,2 მილიარდ მანეთს შეადგენს. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა 6 პროცენტით გაგვზარდა რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ანგარიშებით, რაც აბსოლუტური ოდენობით რამდენადმე მეტია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

გაუმჯობესდა მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და სამედიცინო მომსახურება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1966 წლის გეგმის შესრულების დადებითი მსვლელობის შეფასების დროს უნდა დაინახოთ აგრეთვე ის ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრა საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები და უფრო სწრაფად ვიარით წინ.

სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ არის ხარჯმე დიდი დანაკარგი იმის შედეგად, რომ არ ზოგავენ, ნაწილობრივ კი უყაირათოდ ხარჯავენ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. სამრეწველო საწარმოთა 17 პროცენტზე მეტი ჯერ ასრულებს გეგმებს. მათ დაგვაკლეს 1 მილიარდ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. მთელ რიგ დარგებში ჯერ ასრულებენ უმნიშვნელოვანესი პროდუქციის ნომენკლატურის დავალებებს, არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ძირითად საწარმოო ფონდებს, ნელა ითვისებენ ახალ სიმძლავრეებს. ჯერ სრულდება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დავალებანი.

ხელმძღვანელობის გარდაქმნამ დარგობრივი პრინციპით დადებითი გავლენა მოახდინა მრეწველობის მუშაობაზე. მაგრამ დარგობრივმა სამინისტროებმა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აიღეს ხელში მეურნეობის მართვა, საკმარისად ჯერ ავლენენ და ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

განსახილველად წარმოდგენილი 1967 წლის გეგმა, განაგრძო ნ. კ. ბაიბაკოვმა, შემუშავებულია სკკპ XXIII კრებების მიერ მიღებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესაბამისად. იგი მომზადებულია ამ გეგმების პროექტების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგინეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა. სახალხო-სამეურნეო გეგმა დეტალურად განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

1967 წელს ჩვენი ქვეყანა გადადგამს ახალ დიდ ნაბიჯს ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გზაზე.

გეგმის მთავარი ამოცანებია:

მრეწველობის იმ დარგების უპირატესი განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წარმოების ტექნიკურ პროგრესსა და სტრუქტურის სრულყოფას;

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება;

სახალხო მეურნეობის დარგების ტექნიკური დონის ამაღლება, ეკონომიური ბერკეტების როლის გაძლიერება წარმოების სტიმულირებასა და უფრო მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მქონე პროდუქციის გამოშვებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მოგების გადიდება;

კაპიტალური მშენებლობის საქმის გაუმჯობესება, კაპიტალური დაბანდების კონცენტრაცია უმნიშვნელოვანეს მშენებლობებსა და ობიექტებზე, მშენებლობის ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების დაჩქარება და მათი ათვისება;

საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, სამინაო მშენებლობის განვითარება, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესება, მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნის უზრუნველყოფა საქონლითა და მომსახურებით.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომი განმტკიცების საჭირო ღონისძიებათა განხორციელება.

1967 წელს ეროვნული შემოსავალი გადიდდება 6,6 პროცენტით, ხოლო ხუთწლეულის ორ წელიწადში — 14,5 პროცენტით. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გადიდდება 5,5 პროცენტით, ხოლო 1966-1967 წლებში ეს ზრდა შეადგენს დაახლოებით 12 პროცენტს.

გეგმით გათვალისწინებული ეროვნული შემოსავლის ზრდისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ტემპი შეესაბამება სკკპ XXIII კრების დირექტივებს ხუთწლიანი გეგმის შესახებ და გასული ხუთწლეულის საშუალო წლიურ ტემპზე უფრო მაღალი იქნება.

მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდა 1967 წლისათვის დასახულია 7,3 პროცენტის ოდენობით. გეგმით გათვალისწინებულია, რომ კიდევ უფრო დაუახლოვდეს ერთმანეთს წარმოების საშუალებათა წარმოების (ჯგუფი „ა“) ზრდის ტემპი და მოხმარების საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ“) ზრდის ტემპი, როგორც ეს განსაზღვრულია სკკპ XXIII კრების დირექტივებით. „ა“ ჯგუფის დარგების პროდუქცია გადიდდება 7,5 პროცენტით, ხოლო „ბ“ ჯგუფის დარგების პროდუქცია — 6,6 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გადიდდება 4 პროცენტით, კაპიტალური დაბანდების მოცულობა სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით — 7,9 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა — 7,4 პროცენტით.

დარწმუნებული ვართ, განაცხადა მომხსენებელმა, რომ 1967 წლის გეგმის აღნიშნული ძირითადი ამოცანები მარტო მთლიანად კი არა გადაჭარბებითაც შესრულდება. გეგმის შესრულებაში წარმატების საწინდარია საყოველთაო სახალხო შეჯიბრება, რომელიც გაჩაღდა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

1967 წელს გეგმის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ გათვალისწინებულია მრეწველობის დარგების კომპლექსური განვითარება. თითოეული სამინისტროს გეგმა შეიცავს დარგების განვითარების ყველა ძირითად მაჩვენებლებს. ამასთან ერთად, სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები დაწესებულია მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების მიხედვით.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ მაშინ როცა მრეწველობის პროდუქციის გამოშვების საერთო ზრდა შეადგენს 7,3 პროცენტს, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ნავთობქიმიური და გაზის მრეწველობა განვითარდება უფრო ჩქარი ტემპით — 9-11 პროცენტით.

ელექტროენერგიის გამომუშავება მიაღწევს 598 მილიარდ კილოვატსაათს და ერთ წელიწადში გადიდდება 53 მილიარდი კილოვატსაათით, ანუ თითქმის 10 პროცენტით. ამასთანავე გათვალისწინებულია ამუშავიდეს ელექტროსადგურების ახალი სიმძლავრენი 10 მილიონ კილოვატზე მეტი ოდენობით.

საობობი მრეწველობის დარგების განვითარება განსაზღვრულია იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნები და კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სათბობი ბალანსის სტრუქტურა. ძირითად სახეობათა სათბობის საერთო მოპოვებაში ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა გადიდდება 56 პროცენტით. ნაცვლად 1966 წლის 53,9 პროცენტისა. ჩვენი სათბობი მრეწველობის განვითარების დიდ მასშტაბს მოწმობს 1967 წლისათვის დასახული ნავთობის მოპოვების აბსოლუტური ოდენობა — 286 მილიონი ტონა, გაზისა — 160 მილიარდი კუბური მეტრი, ქვანახშირისა — 591 მილიონ ტონაზე მეტი.

ნავთობისა და გაზის მოპოვების დასახული დონის მიღწევისათვის გათვალისწინებულია სეიქსმოტაციული გადაგვაცილო დაახლოებით 3,5 ათასი ნავთობისა და გაზის ჭაბურღილი, მაგისტრალური გაზსადენები და ნავთობსადენები, რომელთა საერთო სიგრძე 7,2 ათასი კილომეტრი იქნება. მწყობრში ჩადგება შუა ახია — ცენტრის გაზსადენის პირველი რიგი, ურალ-ბალიკ-ომსკის ნავთობსადენი.

ქვანახშირის მრეწველობაში გათვალისწინებულია ამუშავდეს შახტები და ჭრილები, რომელთა საერთო სიმძლავრე დაახლოებით 21 მილიონი ტონა იქნება. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი მომარაგება ინერგეტიკული და კოქსადი ქვანახშირით, კიდევ უფრო გაუმჯობესონ ქვანახშირის ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეეხო შავი მეტალურგიის განვითარებას. შავი მეტალურგიის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ლითონზე ჯერ კიდევ მთლიანად როდია, უზრუნველყოფილი. ლითონის ნაკლებობა აფერხებს, ისეთი მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარების ტემპს, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ნავთობისა და გაზის მრეწველობა, მშენებლობა, ამასთან დაკავშირებით შავი მეტალურგიის განვითარების დასაჩქარებლად კაპიტალური დაბანდება ამ დარგში 1967 წელს გადიდდება თითქმის 21 პროცენტით.

გეგმით დასახულია გადიდდეს ფოლადის გამოდნობა 102,1 მილიონ ტონამდე ანუ 5,3 პროცენტით, ნაგლინის წარმოება — 80,6 მილიონ ტონამდე, ანუ დაახლოებით 6 პროცენტით. და ფოლადის მზვარეთა — 10,5 მილიონ ტონამდე ანუ 6,4 პროცენტით. გათვალისწინებულია გაუჯობესდეს ნაგლინის და მილების სტრუქტურა და ხარისხი.

ფერად მეტალურგიაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ალუმინის, სპილენძის, თუთიის, ტყვიისა და სხვა ფერად ლითონების წარმოება.

სწრაფი ტემპით განვითარდება ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა: პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების წარმოება გაიზრდება დაახლოებით 18 პროცენტით, ქიმიური ბოჭკოებისა — 9,1 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 8,3 პროცენტით, სინთეზური კაუჩუკისა — 10 პროცენტით, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის წარმოება კი 19 პროცენტით. გაუმჯობესდება ქიმიური პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი. კაპიტალური დაბანდებანი ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში 1967 წელს დაახლოებით 10 პროცენტით გაიზრდება 1966 წელთან შედარებით.

კვლავაც მნიშვნელოვნად განვითარდება ცელულოზა-ქაღალდის, ხისდამამუშავებელი, ხე-ტყის ქიმიური და ჰიდროლიზური მრეწველობის დარგები. ცელულოზის წარმოება 1967 წელს გაიზრდება 14,8 პროცენტით. აქედან ხელოვნური ბოჭკოს გამოსამუშავებელი ვისკოზისა — 30 პროცენტით. მუყაოს გამომუშავება გადიდდება 14,3 პროცენტით და ქაღალდისა — 5 პროცენტით.

მაქნისი მერქნის გამოზიდვა გათვალისწინებულია 256 მილიონი კუბური მეტრის მოცულობით, ანუ დაახლოებით 2 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და მისი საწარმოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო წელს სახალხო მეურნეობას დააკლდება 8 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მაქნისი მერქანი. სამინისტრომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი მერქნის გამოზიდვის 1967 წელს გეგმის უფრო შესრულებისათვის.

შემდგომ განვითარდება სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი — მანქანათმშენებლობა. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება 9,5 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

მანქანათმშენებლობის ძირითადი ამოცანაა პროდუქციისა და მისი წარმოების ტექნოლოგიის შემდგომი ტექნიკური სრულყოფა, მანქანების, მოწყობილობების, აპარატებისა და ხელსაწყოების ხარისხის გაუმჯობესება. ხანგამძლეობისა და საიმედოობის გადიდება. გეგმით გათვალისწინებულია ყველაზე პროგრესული სახეობათა მოწყობილობის უპირატესი განვითარება.

გათვალისწინებულია ახალ სახეობათა სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, სახნავი, მორსათრევი და ჭაობის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების ათვისება.

საშენ მასალებზე სახალხო მეურნეობისა და ფართო ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით გეგმის პროექტით გათვალისწინებულია, რომ გაიზარდოს ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, შუფრის, რბილი სახურავის, მინის წარმოება. ამასთან გაფართოდდება განსაკუთრებით ეფექტიან საშენ მასალათა წარმოება.

საშენ მასალათა მრეწველობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფად დასახულია კაპიტალური დაბანდებანი ამ დარგში გაიზარდოს 12,0 პროცენტითა და მეტით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1967 წლის გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობისათვის საჭირო წარმოების გაზვითარებას. სწრაფი ტემპით განვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 6,1 პროცენტით და კვების დარგებისა — 6,2 პროცენტით. ამ დარგების განვითარებისათვის გამოიყოფა 1,7 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდებანი, ანუ თითქმის 11,5 პროცენტით მეტი, ვიდრე 1966 წელს.

გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაიზარდოს სახალხო მოხმარების იმ საქონლის წარმოება, რომელზეც მოსახლეობის განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და გარეგანი გაფორმება.

კვების მრეწველობის დარგების პროდუქციის გამოშვებაშიც მოხდება თვისებრივი ცვლილებანი. ხორცის საერთო წარმოება გაიზრდება 7,6 პროცენტით, ფრინველის ხორცის წარმოება კი 20 პროცენტით. გაცვებული ხორცის გაყიდვის მოცულობა გაიზრდება 18 პროცენტით, მოუხდელი ძროხის პროდუქციის წარმოება — 8,2 პროცენტით, ხოლო ყველისა და ბრინზის წარმოება 17 პროცენტით. მთლიანად თევზჭერა გაიზრდება 8,6 პროცენტით, სასაქონლო სასურსათო თევზეულის გამოშვება გადიდდება თითქმის 12,0 პროცენტით, ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მისი ასორტიმენტი და ხარისხი.

15 პროცენტით გაიზრდება უმაღლესი და პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის პურფუხუნეულის გამოშვება.

1967 წელს არსებითად გადიდდება მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეები.

მნიშვნელოვნად გაიზრდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის გამოშვება.

სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების დიდი ამოცანები იკისრება ადგილობრივ მრეწველობას, რომელიც მაქსიმალურად უნდა იყენებდეს წარმოებაში ნედლეულის, მასალების ადგილობრივ რესურსებს და სამრეწველო საწარმოთა ნარჩენებს.

ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების საქონლით უზრუნველყოფა და გავაფართოოთ მომსახურება, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, ეს არის ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობისა და მრეწველობის კვების დარგების სამინისტროთა ამოცანა ის არის, რომ პროდუქციის გათვალისწინებული გამოშვების უზრუნველყოფასთან ერთად დროულად და სწორად აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის მოთხოვნას საჭირო საქონლეზე. გამუდმებით აუმჯობესებდნენ ნაწარმის ხარისხს და აფართოებდნენ ასორტიმენტს.

1967 წელს შემდგომ განვითარდება ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გადიდდება 5,6 პროცენტით. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდება საზღვაო და მდინარეთა ტრანსპორტი. მგზავრთბრუნვა გაიზრდება 6,2 პროცენტით. საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზრდება 18,6 პროცენტით და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მილსადენებით ტრანსპორტირების მოცულობა — 10 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტზე ელმავლებითა და თბომავლებით ტვირთბრუნვის ხვედრითი წონა რკინიგზის საერთო ტვირთბრუნვის 92 პროცენტზე მეტს შეადგენს. გათვალისწინებულია, რომ მომავალ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცეს 536 კილომეტრი ახალი რკინიგზის ხაზები და 1.850 კილომეტრი ელექტროფიცირებული ხაზები.

კიდევ უფრო განვითარდება მდინარის ტრანსპორტი განსაკუთრებით ციმბირის მდინარეებზე. საავტომობილო ტრანსპორტი შეასრულებს მგზავრების გადაყვანის თითქმის 35 პროცენტს. საექსპლოატაციოდ გადასაცემენ დაახლოებით 13 ათას კილომეტრ მყარსაფარიან ახალ საავტომობილო გზებს.

გათვალისწინებულია კავშირგაბმულობის საშუალებათა — კაბელისა და რადიორელეური ხაზების, რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო სადგურების შემდგომი განვითარება.

1967 წელს მოსკოვის სატელევიზიო ცენტრისათვის დამთავრდება მსოფლიოში ყველაზე მაღალი 525 მეტრი სიმაღლის უნიკალური სატელევიზიო კოშკის მშენებლობა, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდება მოსკოვის პროგრამის მიღების ზონა.

საგეგმო დავალებათა შესრულება, წარმოების ეფექტიანობის ზრდა და სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპზე. 1967 წელს მეცნიერული კვლევისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო გაანგარიშებათა შედეგების გამოყენების საფუძველზე ავითვისებთ იმ ეფექტიანი, რომელიც, ტექნოლოგიური, სატრანსპორტო და სამშენებლო მოწყობილობის პირველი სამრეწველო სერიების გამოშვებას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სიმძლავრითა და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით არ ჩამოუვარდება მსოფლიო ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს.

სახალხო-სამეურნეო გეგმით (სამინისტროთა გეგმების გარდა) გათვალისწინებულია 450-ზე მეტი დასახლების ახალ უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა სამრეწველო წარმოების ათვისება, რომელთა გამოყენება სახალხო მეურნეობაში საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი.

გათვალისწინებულია განხორციელდეს მოწინავე ტექნოლოგიის ათვისებისა და საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის 300-ზე მეტი უმნიშვნელოვანესი დავალება.

გათვალისწინებულია დავალებები, რომ სახალხო მეურნეობაში მთლიანად ან ცალკეულ ეტაპებად დაინერგოს 57 ავტომატიზებული სისტემა, რომლებშიც გამოყენებული იქნება გამოსათვლელი ტექნიკა ტექნოლოგიური პროცესების მართვისათვის და საწარმოთა და გაერთიანებათა დაგეგმვის, აღრიცხვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები. გათვალისწინებულია აგრეთვე შეიქმნას 85 საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი და 59 გამოთვლითი ცენტრი სხვადასხვა ორგანიზაციაში, რომლებიც შეასრულებენ მეცნიერულ, საინჟინრო და საგეგმო-ეკონომიურ გაანგარიშებებს.

სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები შეასრულებენ სამეცნიერო კვლევისა და გაანგარიშებათა ფართო კომპლექსს. გათვალისწინებულია განხორციელდეს ღონისძიებანი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერული კვლევის დონის ამაღლებას და მის დაჩქარებას.

ამასთან ერთად მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, მრეწველობათა აკადემიამ და სამინისტროებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეწყვეტონ ის სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები, რომლებსაც აქტუალური მნიშვნელობა არა აქვთ, აღმოიხვრან სამეცნიერო კვლევის გაუმართლებელი დუბლირება, გაიუქმონ სამეცნიერო ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა ეფექტიანი არ არის.

მიმდინარე ხუთწლეულში წარმოებისა და მშენებლობის უდიდესი მასშტაბის პირობებში, ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გათვალისწინებულ ტემპს საფუძველად უდგას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდა.

ამიტომ 1967 წლის გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერების ზრდა ახალი ტექნიკის დანერგვის, წარმოების მართვის ორგანიზაციისა და ფორმების სრულყოფის, შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპის თანამიმდევრული განხორციელების საფუძველზე. გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდოს 5 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად უნდა მივიღოთ პროდუქციის მატების საერთო გადიდების 70 პროცენტი.

ამასთან ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი მოწინავე საწარმოთა მოძრაობას მუშათა რიცხვის გაფიდიდებლად პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის.

შრომის ნაყოფიერების ზრდა, აგრეთვე პროდუქციის ერთეულზე მატერიალური ხარჯების შემცირება და არამწარმოებლური დანაკარგების თავიდან აცილება საშუალებას მოგვცემს 1967 წელს თითქმის 1,2 პროცენტით შეიამციროთ მრეწველობაში წარმოების დანახარჯები და 1,2 პროცენტით შეამციროთ რკინიგზის ტვირთზიდვის თვითღირებულება. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ 13 პროცენტით უნდა გაზარდოს მოგება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლასთან დაკავშირებით უფრო მწვავედ ისმება საკითხი, რომ მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების პრობლემას, უწინარეს ყოვლისა, უფრო ეკონომიურად უნდა გამოვიყენოთ არსებული მოწყობილობა.

სამეურნეო რეფორმის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების სრულყოფა. საბითუმო ფასების გადასინჯვის შედეგად, რაც ახლა ხორციელდება, ეს ფასები უნდა გახდეს საწარმოთა საქმიანობის შეფასებისა და წახალისების ფონდების შექმნის უფრო თვალსაჩინო და ობიექტური კრიტერიუმი.

პარტიის XXIII კრების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა (1965 წლის) და მაისის (1966 წლის) პლენუმების გადაწყვეტილებებში, თქვა შემდეგ ნ. კ. ბაიბაკოვმა, განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანები და ძირითადი მიმართულებანი.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებამ, დამზადების ახალი სისტემისა და ახალი შესასყიდი ფასების მასტიმულირებელმა მნიშვნელობამ, სოფლის მეურნეობის აღჭურვამ ტექნიკით, მინერალური სასუქების მიწოდების გაზრდამ და სხვა ღონისძიებებმა, რომლებიც ხორციელდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, დიდი როლი შეასრულეს მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და შესყიდვის გადიდებაში. მომავალში ეს ღონისძიებანი სულ უფრო მეტ გავლენას მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაზე.

1967 წლის გეგმაში სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სახელმწიფო ფასიდგენა გათვალისწინებულია იმ ოდენობით, რომელიც განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა.

გეგმით გათვალისწინებულია დიდი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის. საწარმოო ობიექტების მშენებლობისა და ტექნიკის შეძენისათვის ასიგნებათა მოცულობა სახელმწიფო კრედიტის დახმარებით კოლმეურნეობათა დაბანდების გათვალისწინებით ნავარაუდევია 11,3 მილიარდი მანეთის ოდენობით (ამაში არ შედის მარცვლის შენახვისა და დადამუშავების საწარმოთა მშენებლობის ხარჯები), ანუ გაიზრდება დაახლოებით 10 პროცენტით, აქედან სახელმწიფო კაპიტალდაბანდება 5,7 მილიარდი მანეთით და მეტით, ანუ 8,5 პროცენტით მეტით, ვიდრე მიმდინარე წელს.

გეგმით გათვალისწინებულია მიწების მელიორაციის დიდი ღონისძიებანი. გაითვალისწინოთ უნდა დავაშროთ დაახლოებით შვიდასი ათასი ჰექტარი და სეექსპლოატაციოდ გადავცეთ 261 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწა. რუსეთის სფსრ, ყაზახეთის სსრ ციმბესში და შუა აზიის რესპუბლიკებში ნაწყლიერდება 6,6 მილიონი ჰექტარი სანთაური.

გარდა ამისა, საჭიროა გამოიყოს სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ამისათვის, რომ მოვაწესრიგოთ სარწყავი და დაშრობილი ფართობები, რომლებსაც ვერ ვიყენებთ სხვადასხვა მიზეზის გამო.

მელიორაციისა და წყალსამეურნეო მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გადიდდება 13,6 პროცენტით და 1967 წელს შეადგენს 825 მილიონ მანეთს.

მომავალ წელს მრეწველობა სოფლის მეურნეობას მისცემს ეკონომიური ტექნიკის, მინერალური სასუქების, საწვავ-საპოხი და სხვა მასალების გამოყენებაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს, განაგრძო ნ. კ. ბაიბაკოვმა, ბევრად განსაზღვრავს კაპიტალური მშენებლობის პროგრამის შესრულება და კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის გადიდება. 1967 წლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, თქვა ამხ. გარბუზოვმა. მომავალ წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის. 1967 წელს საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ისტორიულ თარიღს — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორმოცდაათი წლისთავს.

ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შემოქმედებითი შრომით ააშენა სოციალისტური საზოგადოება და წარმატებით ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. საბჭოთა ხალხის გამარჯვებანი აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დასახეს პარტიის გადაწყვეტილებებმა, რომლებიც მიიღეს ცენტრალური კომიტეტის 1964-1965 წლების პლენუმებმა და სკკპ XXIII ყრილობამ. სულ უფრო დიდ, კეთილნაყოფიერ გავლენას იხდენენ ეს გადაწყვეტილებანი. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ყველა მხარეზე.

პარტიის XXIII ყრილობამ ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებში განსაზღვრა სოციალისტური ეკონომიკის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ გამოყენების ამოცანები. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობაზე აღნიშნა: „...ხუთწლიანი გეგმის დაგალებანი ორგანული ერთიანობით ასახავენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის რესურსების რაოდენობრივ ზრდას და ეკონომიკის შემდგომ ღრმა ვითარებრივ ცვლილებებს, საწარმო ძალების ზრდასა და სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფას".

უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა მარტისა და სექტემბრის პლენუმებზე და მოიწონა სკკპ XXIII ყრილობამ.

ეკონომიური რეფორმა პარტიისა და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ბეჭედია, რომლის საშუალებითაც წარმატებით გადაწყვეტენ სოციალისტური ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდებისა და კომუნისტური მშენებლობის ტემპის დაჩქარების ამოცანას. ეს საერთო სახელმწიფო ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაწყდეს მხოლოდ მილიონობით მშრომელის საერთო მეცადინეობით.

ახორციელებს რა პარტიის გადაწყვეტილებებს, განაგრძო მომხსენებელმა, საბჭოთა ხალხმა 1966 წელს — ხუთწლედის პირველ წელს მოიპოვა დიდი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში. გრანდიოზული გეგმებით აღფრთოვანებული ჩვენი ხალხი უფრო ბეჯითად შრომობს, უფრო ფართოდ გაიაზა სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის ვადაადე შესრულებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა გაანალიზებისა და შემოქმედებითი შესწავლის საფუძველზე შეიმუშავა სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის აღმავლობის ეკონომიურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც კიდევ უფრო განვითარდა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში. განხორციელებულმა ღონისძიებებმა წელსვე გამოიღო ნაყოფი. მარცვლეულის ასეთი უხვი მოსავალი ჯერ არ მოგვიწვია საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე. გაფართოდა მეცხოველეობის პროდუქცია. განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომია და ფინანსები, გადიდდა მათი საწარმოო ფონდები, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა შემოსავალი.

საზოგადოებრივი წარმოების ძლავრი ზრდის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ხდება შეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი, რომელიც სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარეზე.

ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებულ დიდ წარმატებებს კაცობრიობა ასახავს ეროვნული შემოსავლის გადიდება, რომელიც მიმდინარე წელს გაიზრდება 7 პროცენტითა და მეტით. ამან საშუალება მოგვცა გადაგვვიდა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ ამოცანების გადაწყვეტის გზაზე, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

1966 წელს მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 1965 წელთან შედარებით გადიდდა 9,3 პროცენტით, აღნიშნა მომხსენებელმა. მოსახლეობის შემოსავლის გადიდების ძირითადი წყარო იყო შრომის მიხედვით ანაზღაურების ზრდა — მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და სოზოგადოებრივი მეურნეობიდან კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა.

კვლავ იზრდებოდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. 1966 წელს ამ ფონდებმა 45 მილიარდ მანეთს გადააჭარბა და 7,9 პროცენტით გადიდდა. კიდევ უფრო განვითარდა სახალხო განათლება, მეცნიერება, კულტურა, სოციალური უზრუნველყოფა.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი, რომელსაც ადგენენ და ასრულებენ საკავშირო პროფსაბჭო და მისი პროფკავშირული ორგანოები ერთ წელიწადში გადიდდა თითქმის 900 მილიონი მანეთით და მიაღწია 11,4 მილიარდ მანეთს. ამან საშუალება მოგვცა გაგვიდიდებინა პენსიებისა და დახმარებისათვის, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, პიონერული ბანაკების უფასო და შეღავათიანი საგზურებისა და სხვა მიზნებისათვის გამოყოფილი ხარჯები. მიმდინარე წელს განხორციელდა ფართო სანიაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. ახალ ბინებში შესახლდა და სანიაო პირობები გაიუმჯობესა 11 მილიონმა კაცმა.

გაზრდილი მოსახლეობის ხარჯზე მოსახლეობამ მნიშვნელოვნად გაადიდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის შესყიდვა. 1966 წელს საცალო საქონელბრუნვა შესაპირისპირები ფასებით გადიდდა 8,5 პროცენტით. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოწმობს აგრეთვე მოსახლეობის დანაზოგის განუხრელი ზრდა. შემნახველ სალაროებში ანაბრების თანხა მიმდინარე წელს იზრდება 4,3 მილიარდი მანეთით.

სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებამ განსაზღვრა სახელმწიფო ფინანსების შემდგომი განმტკიცება და ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის შესრულება.

1966 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში შესრულდება 107,0 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ გეგმის 100,0 პროცენტით; გასავლის ნაწილში — 106,7 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ გეგმის 99,9 პროცენტით, ამასთან შემოსავალი გასავალს გადააჭარბებს 0,3 მილიარდი მანეთით.

ბიუჯეტის შესრულების დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია დამატებითი ფინანსური რესურსების გამოვლინება და მობილიზაცია, სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვა.

1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ადამიანების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის ზრდის საფუძველზე მთლიანად განხორციელდება მომავალი წლისათვის გათვალისწინებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი პროგრამა.

მოხსენების ნაწილში „ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი" ვ. თ. გარბუზოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავების დროს გაითვალისწინეს ის ამოცანები, რომლებიც დასახული სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებში ხუთწლიანი გეგმის შესახებ. იმ ღონისძიებათა თანამშედეგული შესრულება, რომლებსაც პარტია ახორციელებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის. ბიუჯეტი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალისა და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ გადიდებას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

გათვალისწინებულია, რომ ბიუჯეტის შემოსავალი შეადგენს 110,1 მილიარდ მანეთს, ანუ 3,1 მილიარდი მანეთით მეტს, ვიდრე 1966 წლის მოსალოდნელი შესრულება. გათვალისწინებულია, რომ გასავალი შეადგენს 109,9 მილიარდ მანეთს, ანუ 3,2 მილიარდი მანეთით მეტს, ვიდრე მოსალოდნელია 1966 წელს. შემოსავალი გასავალს გადააჭარბებს 0,2 მილიარდი მანეთით.

სოციალისტური მშენებლობისა და წარმოების რეტაბელობის ზრდის ტემპის შემდგომი დაჩქარების შედეგად შესრულდა სოციალისტური მეურნეობიდან გაიზრდება და მიაღწევს 100,3 მილიარდ მანეთს, ანუ ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 91 პროცენტს.

ბიუჯეტში, თქვა მომხსენებელმა, აისახა ფინანსური რესურსების განაწილებაში მომხდარი ის ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიური რეფორმის განხორციელებასთან. ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებში მოგების ხარჯზე იქმნება წახალისების ფონდები და წარმოების განვითარების ფონდი, რომლებიც თვით საწარმოთა განკარგულებაშია. იზრდება მოგების ის წილი, რომელიც საწარმოებს რჩებათ კაპიტალური დაბანდებისა და საბრუნავ საშუალებათა მატებისათვის საჭირო გეგმით გათვალისწინებული ხარჯების უზრუნველსაყოფად. მოგების ანარიცხთა ნაწილი შედა ბიუჯეტში საწარმოო ფონდების გადასახდელის სახით.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ გაძლიერდეს საწარმოთა კოლექტივების დაინტერესება წარმოების სრულყოფითა და გაფართოებით, პროდუქციის რეალიზაციითა და მოგების ზრდით, სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა და ბიუჯეტის უკეთ შესრულებით.

მთლიანად სახალხო მეურნეობაში საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგება ერთ წელიწადში 13,0 პროცენტით და მეტად გაიზრდება და შეადგენს 46,7 მილიარდ მანეთს. ის საწარმოთა მოგება, რომლებიც უკვე გადავიდნენ მეურნეობრივობის ახალ სისტემაზე, განსაზღვრულია 4,7 მილიარდი მანეთის ოდენობით, აქედან ბიუჯეტში ფონდების გადასახდელის სახით შევა ერთი მილიარდი მანეთი. 1967 წელს ბრუნვის გადასახადის შემოსულობა გათვალისწინებულია საქონლის წარმოების ზრდის შესაბამისად 40.6 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 2,9 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

მოსახლეობის სახელმწიფო გადასახადები ბიუჯეტში გათვალისწინებულია 9 მილიარდი მანეთის ოდენობით, ამასთან გათვალისწინებულია მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის დაგეგმილი ფონდი.

სულ უფრო დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ენიჭება ქონებისა და პირად სახელმწიფო დაზღვევას. 1966 წელს კოლმეურნეობებისა და მოსახლეობისათვის სადაზღვევო თანხების გაკეთდა შეადგენს 819 მილიონ მანეთს, ანუ 33 პროცენტით მეტს, ვიდრე 1965 წელს.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი ძირითადი მიმართულებებით განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

	(მილიარდი მანეთი)	
	1966 წელი	1967 წელი
სახალხო მეურნეობა	44,9	46,9
სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი	40,5	42,9
თავდაცვა	13,4	14,5
მართვა	1,4	1,4

ბიუჯეტი უზრუნველყოფს იმ ღონისძიებათა დაფინანსებას, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისათვის. 1967 წელს სახალხო მეურნეობის ხარჯების საერთო თანხა 4,1 მილიარდი მანეთით გაიზრდება და შეადგენს 86,5 მილიარდ მანეთს, აქედან მეურნეობის საკუთარი სახსრებით — 39,6 მილიარდ მანეთს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გამოყოფილი სახსრები მოხმარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური დონის ამაღლებას, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სახალხო მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგების განვითარებას და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისთვის ყოველწლიურად გამოყოფს უდიდეს თანხებს. 1967 წელს ამ ღონისძიებათა ხარჯები შეადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი გასავლის 39 პროცენტს.

სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად ბიუჯეტში გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის საგარეო კავშირის, განსაკუთრებით სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობის, ბრუნვის შემდგომი ზრდა. ბიუჯეტში გათვალისწინებული ასაგებანი უცხოთის სახელმწიფოთა ეკონომიური, კულტურული და სხვა დახმარებისათვის სამთავრობათშორისო შეთანხმებათა შესაბამისად.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1967 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დაავალეს მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, საწარმოთა, მშენებლობათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააძლიერონ ყურადღება საკითხებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვის ტაკიც რეჟიმის უზრუნველყოფასთან. მომჭირნეობისათვის ბრძოლა უნდა წარმოებდეს სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

ვ. თ. გარბუზოვმა განაცხადა, რომ დეპუტატთა განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილ ბიუჯეტში ნათლად არის ასახული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ემსახურება სოციალისტური ეკონომიკის მზარდობრივ მშენებლობას, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებასა და დამკვიდრებას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მრეწველობის დაფინანსების საკითხებს და ეკონომიურ რეფორმას. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა, თქვა მან, ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ დაგეგმვის სრულყოფისა და მრეწველობაში ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის.

მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემა უფრო სრულად ავლენს სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, უფრო ხელშეწყობს პირობებს ექმნის ჩვენი ქვეყნის კოგანტური საწარმოო ძალების ოპტიმალურ გამოყენებას, ხალხის კეთილდღეობის სწრაფ გაუმჯობესებას.

მიმდინარე წელს მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე გადავიდა 673 საწარმო, რომლებშიც დასაქმებულია თითქმის 2 მილიონზე მეტი კაცი, ანუ მრეწველობის მუშაკთა საერთო რიცხვის დაახლოებით 10 პროცენტი. მიმდინარე წელს ახალ სისტემაზე გადაყვანილმა ყველა საწარმომ დამატებითი ვალდებულებანი იკისრეს. ამ საწარმოთა კოლექტივები უშუალოდ იყენენ დაინტერესებულნი არსებული შინაგანი რესურსების მობილიზაციით, რადგანაც ეს ზრდიდა მოგებას და ამით შესაძლებლობას აძლევდა მათ უფრო მეტი სახსრები გადაერიცხათ მოგებიდან მატერიალური წახალისების ფონდებში.

უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ვალდებულებანი წარმატებით შესრულდა. წინასწარი მონაცემებით, ახალ პირობებზე გადაყვანილმა საწარმოებმა მიიღეს 200 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა ეკონომიური სტიმულირების ფონდების წარმოქმნას და დანარჩენი ნაწილი კი ბიუჯეტში გადაირიცხა. ეს მოწმობს, რომ ეკონომიური რეფორმის განხორციელება პრაქტიკულად უზრუნველყოფს საწარმოთა კოლექტივებისა და სახელმწიფოს ინტერესების საუკეთესო შეხამებას.

მომავალი წელი მრეწველობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და სხვა დარგებში ეკონომიური რეფორმის განხორციელების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება. დაწესებული ვადების შესაბამისად მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადავა მუშაობა და კვების მრეწველობის ბეერი დარგი, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის მთელი რიგი დარგები და ზოგიერთი სხვა დარგი.

სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული მრეწველობის განვითარების ამოცანები სავსებით უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური რესურსებით. მრეწველობის დაფინანსების საერთო მოცულობა 1967 წელს შეადგენს 45,7 მილიარდ მანეთს, ანუ 7,3 პროცენტით მეტს, ვიდრე მიმდინარე წელს. ამასთან ბიუჯეტიდან ასიგნებულია 21,9 მილიარდი მანეთი და საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებით — 23,8 მილიარდი მანეთი. მრეწველობის განვითარებას დიდძალი სახსრები მოხმარდება აგრეთვე ბანკის კრედიტებისა და საწარმოთა წარმოების განვითარების ფონდის ხარჯზე.

პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გათვალისწინებულია მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარება, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველთა საფუძველია. ამასთან განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდება ელექტროენერგეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, ელექტრონიკა. ამ წლიდან დარგებს 1967 წელს მოხმარდება 19,3 მილიარდი მანეთი, ანუ მრეწველობისათვის გასაწევი მთელი ხარჯების 42 პროცენტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის კურსის — წარმოების საშუალებათა და მოხმარების საგანთა წარმოების განვითარების ტემპების დაახლოების კურსის მიხედვით ბევრად გაიზრდება დაბანდებანი მსუბუქ, კვების და ადგილობრივ მრეწველობაში, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. ამ დარგებისათვის გამოიყოფა 5,2 მილიარდი მანეთი, ანუ 19 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს, რაც ხელს შეუწყობს სახალხო-სამეურნეო გეგმის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების დავალებათა წარმატებით შესრულებას. საჭიროა აგრეთვე ‹გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნედლეულის გამოყენება, დავაჩქაროთ საწარმოო სიმძლავრეთა, განსაკუთრებით მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვების სიმძლავრეთა ამოქმედება. მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოების გასაადიდებად უნდა გამოიყენოთ მრეწველობის ყველა დარგის არსებული შესაძლებლობანი და რესურსები. ამ მხრივ დიდი შესაძლებლობანია ადგილობრივ მრეწველობაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა ხელმძღვანელებმა მიტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ ნედლეულისა და მასალების ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებაში, რათა ყოველი ღონისძიებით გაადიდონ სახალხო მეურნეობის საქონლის გამოშვება და გაფართოონ მისი ასორტიმენტი. ადგილობრივი მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის სახელმწიფო მას მნიშვნელოვან დახმარებას უწევს.

საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის კვლევაზე მათი დანახარჯების დაფინანსებაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის საკუთარ სახსრებს, უწინარეს ყოვლისა მოგებას.

1967 წელს საწარმოო ფონდების შემდგომი გაფართოების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მატერიალური ხარჯების დაზოგვის საფუძველზე გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გადიდდეს მოგება მრეწველობაში. მომავალ წელს ეს მოგება გადიდდება 13,6 პროცენტით და შეადგენს 28,9 მილიარდ მანეთს.

ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი, დაგროვების ზრდა ეწინარეს ყოველისა დამოკიდებულია საწარმოთა საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენებაზე. ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა სკკპ XXIII ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესახებ კვეთებულ მოხსენებაში თქვა: „საწარმოო ფონდების ეფექტიანი გამოყენებისათვის ბრძოლას პრეკვლარისხოვანი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და იგი მეშმარიტად საყოველთაო სახალხო საქმე უნდა გახდეს".

ამავე დროს, როგორც აღნიშნულია მოხსენებაში, ჯერ კიდევ ყველა სამინისტროში როდი უთმობენ ჯეროვან ყურადღებას ამ დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ საკითხს. მთელ რიგ დარგებში ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა საკმარისი არ არის, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში მცირდება კიდეც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისაგან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისაგან მოითხოვს, რომ სახელმწიფო გეგმის დავალებების შესრულებისა და სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების დროს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უსწრაფესად აითვისონ ამოქმედებული საწარმოო სიმძლავრენი, მეტი ყურადღება დაუთმონ წარმოების ეკონომიკის საკითხებს. ყოველნაირად გაუმჯობესონ ფონდამოგება და წარმოების რენტაბელობა.

ვ. თ. გარბუზოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობაში საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესება განსაკუთრებულად დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდასთან. 1967 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მივიღოთ მრეწველობის პროდუქციის 70 პროცენტი მარავნამეტი. მოწინავე საწარმოთა მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენს მრეწველობას ამისათვის დიდი რეზერვები აქვს.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მრეწველობის მუშაკები ახლა უფრო ყაირათიანად იკიდებიან მატერიალური რესურსების ხარჯვის საკითხს, უფრო მეტად ზრუნავენ საზოგადოებრივი დოვლათის დაკვისა და გამრავლებისათვის. მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოებში დაიწყო მშრომელთა შესანიშნავი მოძრაობა ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიურობისათვის. მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რესურსების კარგ დანორმვას, პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის, მასალების, სათბობის ხარჯვის მოქმედი ნორმების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ნორმატივების მატება გათვალისწინებულია 3,3 მილიარდი მანეთის ოდენობით, აქედან ბიუჯეტის ხარჯზე — 0,9 მილიარდი მანეთი და მეურნეობის საკუთარი რესურსების ხარჯზე — 2,4 მილიარდი მანეთი. გათვალისწინებულია 1967 წელს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა დაჩქარდეს 2,5 პროცენტით წარმოების ორგანიზაციისა და პროდუქციის გასაღების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების გზით; საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად უნდა დაიზოგოს 1,0 მილიარდი მანეთი.

მეურნეობრიობისა და მრეწველობის მთელი დარგების მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლის ნორმალური პირობების შექმნისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბითუმო ფასების სისტემის სრულყოფას. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 1967 წლის 1 ივლისიდან მძიმე მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასებისა და ტვირთზიდვის ტარიფების შემოღებისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა ძირითად მიმართულებათა და ორგანიზაციის შესახებ. ახალი ფასების შექმნიან საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების პირობებს, მასტიმულირებელ ზეგავლენას მოახდენენ ტექნიკური პროგრესზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და წარმოების ეკონომიურობის ზრდაზე. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დასაფინანსებლად 1967 წელს გათვალისწინებულია 8,8 მილიარდი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან 2,7 მილიარდი მანეთი. 1966 წელთან შედარებით ეს ხარჯები 4 პროცენტით ჯაიზრდება და უზრუველყოფს ტვირთგზის ტრანსსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომ ტექნიკურ რეკონსტრუქციას. სწრაფი ტემპით იზრდება სამოქალაქო ავიაციის ლეტურავ უფლება ტექნიკით. ფართოვდება საერთო მოხმარების საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობა.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში ჯერ კიდევ არის დიდი შინასამეურნეო რეზერვები. ამას მოწმობს საავტომობილო ტრანსპორტის 208 საწარმოს მუშაობის გამოცდილება, რომლებიც გადაეიდნენ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ამ საწარმოებში გაიზარდა ავტომანქანების გამოყენების კოეფიციენტი, შემცირდა ტვირთზიდვის თვითღირებულება, გადაჭარბებით შესრულდა მოგების გეგმები, მნიშვნელოვნად მეტი ანარიცხებია შეტანილი მატერიალური წახალისების ფონდებში. ახალ სისტემას წარმატებით იყენებენ ავრეთვე ისეთ ოდიდეს მაგისტრალებზე, როგორიცაა სვერდლოვსკისა და გორკის რკინიგზები, ზღვის, მდინარის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ცალკეულ საწარმოებში.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გადაიყვანოს საავტომობილო ტრანსპორტი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. მიმდინარეობს მუშაობა ცალკეული რკინიგზების, სანაოსნოების, აგრეთვე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სხვა საწარმოთა ახალ სისტემაზე გადაყვანისათვის.

პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასოფლო სამეურნეო წარმოების აღმავლობა, განაცხადა მომხსენებელმა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს და განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ეკონომიკის ხელმძღვანელობის სრულყოფა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უფრო შეთანხმებული განვითარება. მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას თავისი სერიოზული დადებითი შედეგები მოაქვს.

1967 წელს სოფლის მეურნეობის დაფინანსებისათვის გამოიყოფა 13,5 მილიარდ მანეთი. ამასთან ბიუჯეტიდან ასიგნებული იქნება 6,3 მილიარდი მანეთი და სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან და სახელმწიფო ბანკის კრედიტიდან 7,2 მილიარდ მანეთს. რესურსების ძირითადი ნაწილი მოხმარდება კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, რაც უზრუველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა უდიდესი მასშტაბის სამუშაოები დასახა მიწების მელიორაციისთვის და ამ საფუძველზე წამოაყენა ამოცანა — მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებას. 1967 წლის ბიუჯეტში წყალსამეურნეო მშენებლობისათვის გამოყოფილია 1,3 მილიარდი მანეთი, ანუ 10 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. გარდა ამისა, 500 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდება ნიადაგების გაკირნახვებასა და გათანაბრირებას და სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მიწების ნაყოფიერების გადიდება.

სოფლის მეურნეობის „კაპიტალდაბანდებათა, კერძოდ, სანიაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა დასაფინანსებლად სახელმწიფო გეგმის მიხედვით გამოიყოფა 6,9 მილიარდი მანეთი. გარდა ამისა, თვითონ კოლმეურნეობები სახალიენ ამ მიზნით დახარჯნენ 5,7 მილიარდი მანეთი, აქედან 1,6 მილიარდი მანეთი სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტის ხარჯზე.

მიმდინარე წელს სერიოზულად გაუმჯობესდა საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა. სახალხო-სამეურნეო გეგმაში გათვალისწინებული ძირითად სახეობათა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა საფუძველზე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მოგება 1967 წლისათვის განსაზღვრულია 2,2 მილიარდი მანეთის ოდენობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად 1967 წლიდან საბჭოთა მეურნეობანი და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თანდათანობით უნდა გადაეიდნენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

ახალ წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს მეტ ტრაქტორს, სასოფლო-სამეურნეო მანქანას, ავტომობილს, სასუქსა და ზხამქიმიკატებს. სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოფტექტიკის" საქონელბრუნვის მოცულობა შესაპირისპირებ ფასებში წელს მანძილზე გაიზრდება 6,2 პროცენტით და 1967 წელს მიაღწევს 8,0 მილიარდ მანეთს.

საკოლმეურნეო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის, აგრეთვე სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვის შემდეგ 1966 წლის 10-14 დეკემბერს გაიმართა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიათა, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიათა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიათა, სოფლის მეურნეობის კომისიათა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიათა, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიათა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიათა დასკვნითი სხდომები.

დარგობრივმა კომისიებმა მოისმინეს დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელების ა. მ. პეტროვის, კ. კ. კოსტროვის, ვ. ა. ორლოვას, ნ. პ. ნიკოლსკის, ს. დ. ხიტროვის, თ. ა. სურგანოვის, ნ. ნ. ბლოხინის, ი. ნ. მაკაროვის, ბ. ვ. კონოპლიოვის, გ. ი. ჩოგოვაძის, კ. კ. კაარისის, ნ. ი. ოსტაპენკოს, გ. ი. ჭადაგიძის, ა. ნიკიფოროვის, ლ. ი. ფლორენტიევის, ბ. სალიევის, თ. ვ. ლაშქარაშვილის და ი. პ. ასტაიკინის მოხსენებანი სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი ნაწილების განხილვის შედეგების შესახებ, განიხილეს და მოიწონეს მონიშნული ნაშრომები და წინადადებანი გეგმისა და ბიუჯეტის გამო, აგრეთვე რეკომენდაციები ამ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობისადმი, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისადმი, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისადმი.

პალატების საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა დაამტკიცეს დასკვნები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ და დაავალეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიათა თავმჯდომარეებს პ. ა. როზენკოს და მ. ა. იასნოვს კომისიათა სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გააკეთონ თანამოხსენებანი გეგმის, ბიუჯეტისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

კომისიების სხდომებზე დეპუტატებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიათა დებულების პროექტის შესახებ, რომელიც მზადდება, და კომისიათა მუშაობის 1967 წლის გეგმების შესახებ, აგრეთვე აირჩიეს კომისიათა თავმჯდომარეების მოადგილენი და მდივნები.

მუდმივი კომისიების მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტში

14 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შემნის მე-6 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც 20 დეკემბერს სრულდება, სხდომაზე მოისმინეს კომიტეტის წევრის გ. ა. ეუკოვის ინფორმაცია თუ რა საქმიანობას ეწევა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფი, რათა მხარი დაუჭიროს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ.

კომიტეტმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც, იზიარებს რა ხალხთა საყოველთაო აღფოთებას, რაც გამოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებით, გადაჭრით გმობს ამ დანაშაულებრივ მოქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ხალხთა საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას. კომიტეტი მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის პოზიციას ვიეტნამის საკითხში, რომლის მიზანია ყოველმხრივ დაეხმაროს მოძმე ხალხს.

კომიტეტს მიაჩნია, რომ ვიეტნამის საკითხის გადაჭრის სამართლიანი საფუძველი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხი პუნქტი და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხუთი პუნქტი, და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ გაიმარჯვებს ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე.

თითოეული პარლამენტარის მოვალეობაა, აღნიშნულია დადგენილებაში, მხარი დაუჭიროს ხალხთა მოთხოვნებს, რომ ბოლო მოეღოს ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულს.

სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილის ი. ი. პალეკაკისის ინფორმაცია სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ საპარლამენტთაშორისო კავშირის 55-ე კონფერენციის მუშაობაში, რომელიც გაიმართა თირანში მვიდინარე წლის 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე. სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მდივნის ვ. ლ. კუდრიავცევის ინფორმაცია, თუ როგორ მზადდება საპარლამენტთაშორისო კავშირის 56-ე კონფერენცია, რომელიც უნდა გაიმართოს მოსკოვში 1967 წლის სექტემბერში.

განხილულ საკითხებზე კომიტეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. (საკ-დესი).

ხელგაურთიერთ დიდი გამოცდა

ხელგაურთიერთა მსოფლიო პირველობის წინ

ხელგაურთიერთ ოლიმპიზე ასპარეზი პირველი ეცდა 1961 წელს ჩენეთვის წარუმატებლად დამთავრდა: სსრ კავშირის ნაკრებმა 16 ფინალისტს შორის ადგილი დაუთმო მომავალ ჩემპიონებს — რუმინეთის სპორტსმენებს. მეორე ცდის — ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი ვაჟთა გუნდის 1964 წლის გამარჯვის შესახებ დღემდე გრძელდება კამათი: წარმატებად (თუ წარუმატებლობად) უნდა ჩაითვალოს მეხუთე ადგილი? და ეი დადგა ძალთა შესამედ ნამოდელის რიგი: 12-დან 21 იანვრამდე შვეიცარიაში გაიმართება მსოფლიოს უძლიერეს ხელბურთელთა VI პირველობა.

III ჯგუფში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად თავი მოიყარა სერიოზულმა კომპანიამ. რუმინეთის ნაკრები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი სამართლიანად მიეკუთვნება უძლიერესთა რიცხვს. კანადელი ხელბურთელებიც, მათი ხელმძღვანელების განცხადებებს თუ დავუჯერებთ, არ აპირებენ პოზიციების დთმობას. მეოთხეფინალში გასვლის უფლება კი ეძლევა მხოლოდ იმ ორ ნაკრებს, რომლებიც ოთხთა ერთწრიან ტურნირში საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ.

— რეზერვი ჩვენი შანსები?

ამ კითხვაზე სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბეორბი შარაშიძემ ასე გვიპასუხა:

— კანადის ნაკრების ძალაზე მსჯელობა მეძნელება. მართალია, შესარჩევ თამაშებში კანადელებმა დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს არ მოწმობს. სამი წლის წინათ ჩეხოსლოვაკიაში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ხომ ძლიერ წარუმატებლად გამოდიოდა, და თუ ამერიკელთა კლასი წინანდელი დარჩა, მათი დამარცხებლების — კანადელების პრეტენზია სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ ისინი ეხტიბარს არ იტეხენ.

III ჯგუფში, ჩვენი № 1 მეტოქე, ვფიქრობ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებია. ორ უკანასკნელ ხურონში მას თითქმის არ ეთანეკოდა დამარცხება და VI ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებშიც თავის სახლში დამარცხა სსრ კავშირის ნაკრები ანგარიშით 24:16, მაგრამ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეხვედრებში დღეისათვის ანგარიშია 1:1 (მეორე, სპასუხო თამაშში, რომელიც თბილისში გაიმართა, ჩვენ უფრო ძლიერნი აღმოჩნდენი — 17:13).

რუმინეთის ხელბურთელები ჩვენი ძველი ნაცნობები ყოფილან. და თუმცა დღემდე სსრ კავშირის ნაკრებს უფრო ხშირად წაეგება ჰქონდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან, მე მაინც ოპტიმისტურად ჯერ განწყობილი. საქმე ის არის, რომ რუმინეთში ამას წინათ გუნდის შემადგენლობის გაახალგაზრდავება მოხდა, და პირველი მატჩი ეუფოლოგიის ნაკრებთან ახალგაზრდობამ დიდი ანგარიშით წაიგო (7:20).

— ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ რუმინელები შეიძლება მხეთველობაში არ მიიღოდეს?

— სწორედ ამის თქმა არ მინდა. რუმინეთის ნაკრების უკანასკნელი მატჩები V ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორთან — ჩეხოსლოვაკიის გუნდთან მოწმობს, რომ რუმინელები უბრძოლველად როდი აპირებენ დათმონ ჩემპიონების ტიტული. მაგრამ ახალგაზრდობა ახალგაზრდობაა...

— დაკვირვებიდან, რომ სსრ კავშირის ნაკრები მმოთხეფინალში გავიდა, ვისთან გვეძნება ის საქმე?

— მეოთხეფინალში ჩვენი მეტოქე, ჩემი აზრით, შეიძლება გახდეს II ჯგუფის სამი უძლიერესი გუნდიდან ერთ-ერთი — ან უნგრეთი, ან გფრ, ან ნორვეგია. სხვა მეოთხეფინალურ მატჩებში კი, ვფიქრობ, შვეიცარია და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები (I ჯგუფი) შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიისა და დანიის ხელბურთელებს (IV ჯგუფი).

შეჯიბრებაზე, მზად არის თუ არა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ჩემპიონობისათვის, შარაშიძემ საკმაოდ ბუნდოვნად გვიპასუხა:

— ბოლოს ... — ... ბოლოს. თამაშში მოთამაშეებზე კი ... ეფექტურ ... ...